შემოსავლების
სამსახური



რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის კონტროლი

ურთიერთობა მარტივია

2022 წლის 13 დეკემბერს ძალაში შევიდა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება, რომლის შესაბამისად გამოიცა „ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 15 იანვრის №2/ნ ბრძანება, რითაც დადგინდა ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასები.

რა არის რეფერენტული ფასი?

- რეფერენტული საცალო ფასი–ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაციის ზღვრული მაქსიმალური ფასი ლარში, სააფთიაქო დარიცხვის ჩათვლით.
- რეფერენტული საბითუმო ფასი–ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის ზღვრული მაქსიმალური საბითუმო ფასი ლარში, საბითუმო დარიცხვის ჩათვლით.

ვის ეხება ფარმაცევტული პროდუქტის დამტკიცებული რეფერენტული ფასის დაცვა?

- ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორს, ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო ან საცალო რეალიზატორს (მაგ: ავტორიზებული აფთიაქი, აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – ფარმაცევტული განათლების მქონე პერსონალი ან დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის სუბიექტი ფიზიკური პირი.)

სად შეიძლება შემოწმდეს „ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასები?

- „ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 15 იანვრის №2/ნ ბრძანებით დამტკიცდა ფარმაცევტული პროდუქციის რეფერენტული ფასები.
- აღნიშნული ბრძანების დანართის გათვალისწინებით, ფარმაცევტული პროდუტის რეფერენტული საბითუმო და რეფერენტული საცალო ფასების შესახებ ინფორმაცია ფასების კატალოგის სახით ქვეყნდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე https://www.moh.gov.ge/

ვინ აკონტროლებს ფარმაცევტული პროდუქციაზე განსაზღვრული რეფერენტული ფასის დაუცველობას?

- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, სსიპ-შემოსავლების სამსახური.

ვინ ახორციელებს სამართალდარღვევის გამოვლენას და შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას?

- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, სსიპ-შემოსავლების სამსახური.

რა პასუხისმგებლობას იწვევს რეფერენტულ საცალო ფასზე მაღალ ფასად რეალიზაციის წესის დარღვევა?

- „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37^{11} მუხლის (ფარმაცევტული პროდუქციაზე განსაზღვრული რეფერენტული ფასის დაუცველობა) შესაბამისად:

1. ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტულ საცალო ფასზე მაღალ ფასად რეალიზაციის წესის დარღვევა – გამოიწვევს გაფრთხილებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

3. ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტულ საბითუმო ფასზე მაღალ ფასად რეალიზაციის წესის დარღვევა – გამოიწვევს გაფრთხილებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების მესამედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

რა პასუხისმგებლობას იწვევს რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება?

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 286-ე მუხლის (საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა (ამოქმედდა 2023 წლის 15 მარტიდან)) შესაბამისად:

1^3. სამეწარმეო საქმიანობისთვის რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მიერ სასაქონლო ზედნადების მოთხოვნისას მისი გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა – იწვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

1^4. ამ მუხლის 13 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა – იწვევს პირის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

1^5. ამ მუხლის 13 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების მესამედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა – იწვევს პირის დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

შესაბამისი სანქცია გამოიყენება, თუ სასაქონლო ზედნადებში არ არის მითითებული ან არასწორად არის მითითებული (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რომელმაც არ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს შედეგზე):

ა) დოკუმენტის შედგენის თარიღი ან/და ნომერი;

ბ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი;

გ) საქონლის დასახელება ან/და რაოდენობა;

დ) რეფერენტული ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის შემთხვევაში – აგრეთვე ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის ნომერი, ფარმაცევტული პროდუქტის ერთეულის ფასი ან/და სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარის ფაქტობრივი მისამართი.

შენიშვნა! („საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მიზნებისათვის) სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინა სამართალდარღვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში.

რა უნდა გავითვალისწინოთ?

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37[11] და 37[12] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა 2023 წლის 15 მარტამდე (გარდამავალი პერიოდი) გამოიწვევს სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობას მხოლოდ გაფრთხილების სახით.

2 299 299
RS ჩათი
www.rs.ge